დანართი B

განაცხადის ფორმა

რეგიონული ბრენდის

სამარკო ნიშნის მინიჭებაზე

განაცხადი რეგიონული ბრენდის მინიჭებაზე
„NNNN რეგიონული ბრენდი“

განმცხადებლის/კომპანიის დასახელება*.....
მიღებული სერტიფიკატების რაოდენობა[1].....
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი*.....
მისამართი*.....
საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი*.....
ტელეფონი*..... ფაქსი .....
e-mail:* ..... web: .....
ელ.ფოსტა ვებ-გვერდი

გთხოვთ, შემდეგი პროდუქტის / პროდუქციის ჯგუფისთვის რეგიონული ბრენდის“ სტატუსის მინიჭებას,

პროდუქტის სახელი/პროდუქციის ჯგუფი*.....
.....
პროდუქტის / პროდუქტის ჯგუფის დეტალური აღწერა* (ცალკეული პროდუქტების ჩათვლით)[2]
.....
.....
.....

ვაცხადებ, რომ გავეცანი „NNN რეგიონული ბრენდის“ მინიჭებისა და გამოყენების წესებს, პატივს ვცემ და ვეთანხმები მათ. ასევე ვაცხადებ, რომ ამ განაცხადში მოცემული ინფორმაცია (დანართების ჩათვლით) არის კონკურენტული, ჭეშმარიტი და ხარვეზების გარეშე.

ადგილი*..... თარიღი* .....

ხელმოწერა* .....

(ბეჭედი)

---

1. ივსება, მხოლოდ იმ სემთხვევაში თუ მეწარმეს უკვე მირებული აქვს ბრენდის სამარკო ნიშანი სხვა პროდუქტზე;
2. შესაძლებელია ცალკე ჩანართის სახით წამოდგენა;

დანართი B1: მწარმოებლისათვის განსაზღვრული წინაპირობების (კრიტერიუმების) შესრულების დადასტურება

ვაცხადებ

❒ ჩემი სახელით, როგორც ფიზიკური პირი - მეწარმე

❒ იმ იურიდიული პირის სახელით, რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც ვარ

რომ:

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში მე არ ვყოფილვარ და არც ახლა ვარ გაკოტრების ან გადახდისუუნარობის პროცესში. გაკოტრების თაობაზე არც ერთი შუამდგომლობა არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში. ჩემს წინააღმდეგ კანონიერ ძალაში არ არის შესული რაიმე სააღსრულებლო ღონისძიება და ჩემს ქონებას არ მართავს არც სასამართლო, არც კანონი, არც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად უფლებამოსილი პირი,

ბ) არ გამაჩნია კანონით დადგენილი საგადასახადო/საბიუჯეტო დავალიანება

გ) საქართველოს გარემოსდაცვითი ინსპექციას არ დაუწყია ჩემს წინააღმდეგ რაიმე სარჩელი;

დ) ჩემი საქმიანობისას ვიცავ კანონით განსაზღვრულ ყველა ტექნიკურ და ხარისხობრივ რეგულაციებს, რომელიც ეხება ამ კონკრეტულ საქმიანობას (სანიტარული, ტექნიკური, უსაფრთხოების და ა.შ.),

ე) ჩემი კომერციული საქმიანობით გარემოს არ ვაყენებ იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით (რეგულაციებით/სტანდარტებით)

ვ) ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ვასრულებ/შევასრულებ ეკოლოგიურ მოთხოვნებს იმ პრინციპების/კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც აღწერილია N5 კრიტერიუმში მეწარმეებისათვის. (დანართი A; სექცია A);

ზ) ჩემს მიერ დასაქმებულთა შორის ადგილობრივი სამუშაო ძალა შეადგენს

< 5%	➔ ქულა:	0
5-10%	➔ ქულა:	1
11-30%	➔ ქულა:	2
31-50%	➔ ქულა:	3
50-80%	➔ ქულა:	4
>80%	➔ ქულა:	5

სახელი/გვარი.....

კომპანიის დასახელება…….....

პოზიცია კომპანიაში.....

ადგილი: ..... თარიღი: .....

ხელმოწერა: .....

დანართი B2: პროდუქტისადმი წინასწარი მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურება

ვაცხადებ, რომ პროდუქტი (ან პროდუქტის მოცემულ ჯგუფში შემავალი ნებისმიერი პროდუქტი), რომელიც ამ განაცხადის საგანია:

ა) შეესაბამება კანონმდებლობით მისთვის დადგენილ ყველა რეგულაციას და სტანდარტს;

ბ) მოქმედი სამართლებრივი რეგლამენტით დადგენილი წესების შესაბამისად, მისი წარმოებისა ან გამოყენების დროს, იგი ზიანს არ აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას;

გ) კომპანიის ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იგი ასრულებს/შეასრულებს გარემოსდაცვით პრინციპებს, აღწერილი N3 კრიტერიუმში. (დანართი A; B სექცია)

სახელი/გვარი.....

კომპანიის დასახელება.....

პოზიცია.....

ადგილი: ..... თარიღი: .....

ხელმოწერა .....

დანართი B3: უნიკალურობის წინაპირობის შესრულება

თითოეულ (ა)-დან (ე)-მდე ნაწილებში გთხოვთ შემოხაზოთ მწკრივის ის ქულები, რომელთა წინაპირობასაც აკმაყოფილებს თქვენი პროდუქტი. ბოლოს ჩარჩოში მიუთითეთ ყველა შემოხაზული ქულის ჯამი. ჯამური ქულა უნდა იყოს მინიმუმ 10.

(ბ) დან (დ) ნაწილებში გაითვალისწინეთ თქვენი საკუთარი გამოცდილება, პროდუქტის ხასიათი, მისი ცალკეული ნაწილების მნიშვნელობა და წარმოების პროცესები. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ნედლეულის, ხელით მუშაობის ან სპეციფიკის ნაწილში რეგიონის წილი ერთმნიშვნელოვნად არ არის გარკვეული თავად პროდუქტისგან ან ამ განაცხადის შესავალ ნაწილში წარმოდგენილი აღწერიდან, აუცილებელია წარადგინოთ უფრო დეტალური აღწერა განმარტებით, თუ როგორ მივიდა განმცხადებელი შეფასებამდე, რომ პროდუქტი შეიძლება იყოს რეგინული ბრენდის სტატუსის მფლობელი. ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ბრენდის რეგიონალურ კოორდინატორს - სლოვაკეთი-საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას (SGCC)

ა) ტრადიციული ადგილობრივი პროდუქტი

პროდუქტი ან წარმოების ტექნოლოგია ან კომპანია არსებობს NNNN რეგიონში

0-1 წელი	➔ ქულა:	0
1-3 წლამდე	➔ ქულა:	1
3-5 წელი	➔ ქულა:	2
6-10 წელი	➔ ქულა:	3
11-30 წელი	➔ ქულა:	4
30 წელზე მეტი	➔ ქულა:	5

ტრადიცია შეიძლება ეხებოდეს მოცემული ტიპის პროდუქტს ან წარმოების ტექნოლოგიას (თუმცა თავად პროდუქტი შეიძლება იყოს ახალი) ან კომპანიას (გარკვეული დროის განმავლობაში რეგიონში მუშაობს, თუმცა პროდუქტი ან ტექნოლოგია შეიძლება ახალია).

!!! არ დაგავიწყდეთ დაამატოთ: დოკუმენტის ან ისტორიული წყაროს ასლი, რომელიც ადასტურებს პროდუქტის, წარმოების, ტექნოლოგიის ან კომპანიის არსებობის ხანგრძლიობას!!!.

ბ) პროდუქტი დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულისგან NNN რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრებში მოქცეული ტერიტორიებიდან *(იხილეთ ქალაქებისა და სოფლების რუქა და ჩამონათვალი).*

პროდუქტი შეიცავს:

ადგილობრივი ნედლეულის 10 %	➔ ქულა:	0
ადგილობრივი ნედლეულის 20 %	➔ ქულა:	1
ადგილობრივი ნედლეულის 40 %	➔ ქულა:	2
ადგილობრივი ნედლეულის 60 %	➔ ქულა:	3
ადგილობრივი ნედლეულის 80 %	➔ ქულა:	4
მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულს (100 %)	➔ ქულა:	5

პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება ეხებოდეს პროდუქტის წონას, მოცულობას, ნაწილების რაოდენობას და ა.შ., ეს დამოკიდებულია პროდუქტის ხასიათზე. შეფასება არ ეხება პროდუქტის შეფუთვას. საჭირო დანამატები, რომელთა მიღება რეგიონში შეუძლებელია (მაგალითად, მარილი), არ შედის გაანგარიშებაში. ამ სექციაში, გარკვეულ საკვებ პროდუქტებს ენიჭებათ 5 ქულა ანუ ადგილობრივი ნედლეულის 100% -იანი გამოყენება ესენია: თაფლი, კვერცხი, ხორცი, ხილი, ბოსტნეული, მინერალური წყალი, მწვანილი, ტყის ხილი და სხვა სუფთა ბუნებრივი პროდუქტები. რძეს უნდა ჰქონდეს ადგილობრივი ნედლეულის მინიმუმ 60% (თუ ხდება პირუტყვის საკვებად გადარეკვა სხვა რეგიონის საძოვრებზე)

!!! არ დაგავიწყდეთ დაურთოთ: გამოყენებული ნედლეულის ჩამონათვალი, მათი წარმოშობის ადგილის ჩათვლით (თუ ისინი ბრენდის რეგიონის გარედან მოდის, უბრალოდ აღნიშნეთ „რეგიონის გარეთ“)

გ) ხელით სამუშაო, ხელსაქმე ან გონებრივი სამუშაო

პროდუქტის წარმოება საჭიროებს ხელით/გონებრივი მუშაობის:

სრულად ავტომატიზირებული პროცესი 0%	➔ ქულა:	0
საჭიროებს წარმოების პროცესის 20 %	➔ ქულა:	1
საჭიროებს წარმოების პროცესის 50 %	➔ ქულა:	2
საჭიროებს წარმოების პროცესის 70 %	➔ ქულა:	3
საჭიროებს წარმოების პროცესის 95 %	➔ ქულა:	4
საჭიროებს წარმოების პროცესის 100 %	➔ ქულა:	5

ხელით ნამუშევარი, ხელსაქმის ან გონებრივი სამუშაო ნიშნავს, რომ ხელოსანი / ავტორი თითოეულ პროდუქტს / ნამუშევარს ანიჭებს განსაკუთრებულობას და ყველა პროდუქტი ორიგინალია. მას შეუძლია

გამოიყენოს სხვადასხვა იარაღები ან ინსტრუმენტები (მაგ. ელექტროძრავით), თუ საბოლოო პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია მხოლოდ მის პირად ოსტატობაზე.

მოცემული პროცენტი გამოხატავს დროის იმ წილს, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელი/ავტორი უშუალოდ მონაწილეობს მოცემული პროდუქტის წარმოების პროცესში. დრო, რომლის დროსაც პროდუქტი „თვითონ მუშაობს" (მაგ, გაგრილება, გაშრობა, გამყარება, მომწიფება და ა.შ) არ მიიღება მხედველობაში. გონებრივი სამუშაოს შესრულებაში ავტორის დრო ითვლება სრულად და არა მარტო პროდუქტის საბოლოო სახის შექმნისთვის (მატარებელზე დატანის დრო მაგ. წიგნის ან და CD)

!!! არ დაგავიწყდეთ დაამატოთ: წარმოების პროცესის დეტალური აღწერა (თუ ეს თავად პროდუქტიდან ან ამ განაცხადის შესავალ ნაწილში აღწერილი არ არის).

დ) მუშაობა NNN რეგიონის ძირითადი მოტივით / NNN რეგიონის სპეციფიკური პროდუქტები

გთხოვთ, პასუხები შემოხაზოთ მხოლოდ ერთ ცხრილში - (A ან B). აირჩიეთ სწორი ცხრილი თქვენი ნამუშევრების/პროდუქტის ხასიათის შესაბამისად. მაგ. თუ ეს არის სამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშს, სუვენირებს და სარეკლამო მასალებს რეგიონის პოპულარიზაციისთვის (მაგ. სამაჯურები, ბეჭდები გასაღების საკიდები ბრენდის ლოგოთი და ა.შ.), რომლებშიც მთავარია მოტივი და მისი მხატვრულად გადმოცემა, აირჩიეთ ცხრილი A. სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი პროდუქტების შემთხვევაში აირჩიეთ ცხრილი B.

ჩვეულებრივ ქულებთან ერთად შეგიძლიათ შემოხაზოთ 1 (A ცხრილში) ან 2 (B ცხრილში) დამატებითი ქულა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხრილში ძირითადი ქულა არ არის 5.

A. ნამუშევრები რეგიონული მოტივით (სუვენირები, ხელოვნების ნიმუშები, დეკორაცია, და სარეკლამო საგნები, ფოტოები, წიგნები, ბეჭდური მასალები და ა.შ.)

საერთოდ არ არის დაკავშირებული რეგიონთან	➔ ქულა:	0
რეგიონთან დაკავშირებული მოტივი, მაგრამ ეს არ არის სპეციფიკური - ზოგადად ბუნება, სოფლის ცხოვრება, სოფლის მეურნეობის პროდუქცია	➔ ქულა:	1
ბუნებრივი ან სოფლის მოტივი, რომელიც ეხება რეგიონისთვის დამახასიათებელ რამეს (ატმის ხე, სოფლის მამულები, მდინარეები ...)	➔ ქულა:	3
მოტივი პირდაპირ რეგიონიდან - გომბორის მთა, ალაზნის მდინარე, ქალაქი, ძეგლი, პიროვნება, ლეგენდა და ა.შ..	➔ ქულა:	4
მოტივი პირდაპირ რეგიონიდან, მათ შორის აღწერა / ახსნა / სათაური	➔ ქულა:	5
დამატებითი ქულა თუ ნაწარმოების სახელი შეიცავს ადგილობრივ რეგიონისთვის სპეციფიურ სახელს (მაგ. ფერწერული ტილო „ალაზნის ველი")	➔ ქულა:	+1

B. ზოგადი მოხმარების საგნები, სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი პროდუქტები:

პროდუქტი საერთოდ არ ეხება რეგიონს (თვითმფრინავები, მობილური...)	➔ ქულა:	0
სასოფლო-სამეურნეო/ბუნებრივი პროდუქტი ან სასარგებლო პროდუქტი, რომელიც ეხება სოფლის ცხოვრებას, მაგრამ არ არის სპეციფიური რეგიონისთვის (პური, სტაფილო, ქოთანი....)	➔ ქულა:	1
სასოფლო-სამეურნეო/ნატურალური პროდუქტი ან სასარგებლო პროდუქტი, რომელიც ეხება რეგიონისთვის დამახასიათებელ რამეს (მაგ. საზამთრო, მინერალური წყალი,...)	➔ ქულა:	3
პროდუქტი ტიპიურია რეგიონისთვის და სხვაგან არსად იწარმოება (მაგ. პანკისური ჰალვა....)	➔ ქულა:	5
დამატებითი ქულა: თუ პროდუქტის სახელი შეიცავს რეგიონის აღმნიშვნელ სახელს (მაგ. კახური ჩურჩხელა, სვანური ქური, გურული კვერი...)	➔ ქულა:	+1
დამატებითი ქულა: უშუალოდ პროდუქტის შეფუთვის ან ეტიკეტის ილუსტრირებული ნაწილი დაკავშირებულია კონკრეტული რეგიონის	➔ ქულა:	+1

მოტივებთან.		

!!! ნუ დაგავიწყდებათ, რომ დაამატოთ: ჯგუფის პროდუქტის/ყველა პროდუქტის ნიმუში/ფოტოსურათი /აღწერა.

ე) პროდუქტის განსაკუთრებული თვისებები

გთხოვთ, დაამატოთ დამატებითი დანართის სახით - პროდუქტის სპეციფიკური/არაჩვეულებრივი თვისებების აღწერა, თუ რატომ არის ის არაჩვეულებრივი - მაგ. დამუშავების, ფუნქციონალური, ორიგინალობის, ესთეტიკური და სენსორული თვისებების (გემო, სუნი და ა.შ.) და/ან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

პროდუქტის არაჩვეულებრივი თვისებების მოცულობიდან და სიდიდიდან გამომდინარე, შეაფასეთ პროდუქტი 0-დან 5 ქულით	➔ ქულა:	

შენიშვნა: არაჩვეულებრივი თვისებების არარსებობა = 0 ქულა. მრავალი ან მნიშვნელოვანი არაჩვეულებრივი თვისება = 5 ქულა. თუ თქვენ ხართ სოფლის მეურნეობის ან სატყეო მეურნეობის წარმომადგენელი, რომელიც მუშაობს NNN რეგიონის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე და პროდუქტი ან ნედლეული ამ ტერიტორიიდანაა (ნაწილობრივ მაინც), დაწერეთ მინიმუმ 4 ქულა. თუ პროდუქტი მზადდება ე.წ. დაცულ სოციალურ საამქროში ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ, დაწერეთ მინიმუმ 3 ქულა.

!!! არ დაგავიწყდეთ დაამატოთ: პროდუქტის ნიმუში (დასაბუთებულ შემთხვევებში მხოლოდ პროდუქტის ფოტოსურათი) და პროდუქტის არაჩვეულებრივი თვისებების წერილობითი აღწერა. არსებობის შემთხვევაში ეროვნული/ადგილობრივი/საერთაშორისო სერთიფიკატების ან ჯილდოების ასლები.

<u>ჯამური ქულა</u>

სახელი/გვარი.....

კომპანიის დასახელება: .....

პოზიცია: .....

ადგილი: ..... თარიღი: .....

ხელმოწერა: .....